



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო
კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ
КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამომდის 1934 წლის 13 აპრილიდან შანი 8 კპ.



პარტული ჰიდაობის სული ჩვენს ხალხში მუდამ ცოცხლობდა. ოღონდ, ეს იყო — ბოლო ხანებში
ტრადიცია თითქმის დაირღვა, ამ საქმის თავკაცები წავიდნენ და ქართული ჰიდაობის დღესასწაული
ლოდ ეპიზოდურ და ვალის მოსახდელ ღონისძიებად იქცა. ამან დიდი მითქმა-მოთქმა და განგაში
მოიწვია.

დღევანდელი ჰიდაობის გამოუჩინებელი, ფეხზე დადგა დიდი თუ პატარა. ქართული ჰიდაობის შველა უნდაო,
წვევით ერთხმად და ნელ-ნელა ძველ სიყვარულს ახალი სული შთაბერეს. ქართული ჰიდაობა
უნდა სოფლებში, ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, ახმაურდა საჭილაო სარბიელი, აქყვიტინდა
და დოლი, ჰიდაობის ეს მუღმივი და ერთგული თანამგზავი. ხალხი მიაწყდა საჭილაოს და
გერბაც უფრო გახალისდა...

თი და კვირა ბევრგან ქართული ჰიდაობის დღეებად გამოცხადდა. ოფიციალურად კი არა, ისე,
ხისა და სოფლის თავკაცების შეთანხმებით. იმ დღესაც ღვინვარში საჭილაო წრეს ზღვა ხალხი მიაწყდა
ხლი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა... იხ. გვ. 23.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

პარტული ჰიდაობის სული ჩვენს ხალხში მუდამ ცოცხლობდა. ოღონდ, ეს იყო — ბოლო ხანებში ტრადიცია თითქმის დაირღვა, ამ საქმის თავკაცები წავიდნენ და ქართული ჰიდაობის დღესასწაული ლოდ ეპიზოდურ და ვალის მოსახდელ ღონისძიებად იქცა. ამან დიდი მითქმა-მოთქმა და განგაში მოიწვია. დღევანდელი ჰიდაობის გამოუჩინებელი, ფეხზე დადგა დიდი თუ პატარა. ქართული ჰიდაობის შველა უნდაო, წვევით ერთხმად და ნელ-ნელა ძველ სიყვარულს ახალი სული შთაბერეს. ქართული ჰიდაობა უნდა სოფლებში, ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, ახმაურდა საჭილაო სარბიელი, აქყვიტინდა და დოლი, ჰიდაობის ეს მუღმივი და ერთგული თანამგზავი. ხალხი მიაწყდა საჭილაოს და გერბაც უფრო გახალისდა... თი და კვირა ბევრგან ქართული ჰიდაობის დღეებად გამოცხადდა. ოფიციალურად კი არა, ისე, ხისა და სოფლის თავკაცების შეთანხმებით. იმ დღესაც ღვინვარში საჭილაო წრეს ზღვა ხალხი მიაწყდა ხლი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა... იხ. გვ. 23.

გამარჯვებით დაიწყეს „იპედის თასზე“

ბოლო დღეებში საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო „იპედის თასზე“ გამარჯვებით დაიწყეს. მატჩი საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობენ რეპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ ამირჯიანი (უფროსი მწვრთნელი), ჯემალ ანთიძე (მწვრთნელი) და მეგობრული მიმინოშვილი (გუნდის უფროსი). პირველი ტურის დანარჩენი ორი მატჩი ასე დაამთავრა: ლიტვა — ყაზახეთი 2:0, უზბეკეთი — მოლდოვა 5:2.



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რეპეტიციის ხსოვლილი ჩემპიონის სახელმწიფო



მაათა პარტია

მას შემდეგ, რაც მეცხრე ტურში მეტოქეებმა თავს შეიძლება ითქვას, შესვენების უფლება მისცეს, ყველას იმედი ჰქონდა, რომ შემდგომ პარტიაში დაფაზე უკვე ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდებოდა. ასეც მოხდა. დიდოსტატებმა გაითამაშეს ე. წ. შედეგიანი ვარიანტი — ლაზიერის გამბიტი. როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, მე-13 სვლამდე ეს პარტია კასპაროვ-კარპოვის წინა მატჩის 23-ე პარტიის ანალოგიურად მიმდინარეობდა. მე-13 სვლაზე კი მსოფლიოს ექსპერტებმა თეორიული სიახლე შესთავაზა მეტოქეს. დაფიდან თანდათან გაქრნენ მძიმე თუ მსუბუქი ფიგურები, მაგრამ დაძაბულობა მაინც არ ცხრებოდა. ბოლოს თამაში გამარტივდა და პარტია გადაიღო. 44-ე სვლა მსოფლიო ჩემპიონმა ჩაიწერა.


19. efd1 jc8 20. ლგ4 კ:დ5 21. ე:დ5 ლე7 22. gcd1 ლე4 23. ლ:ე4 მ:ე4 24. კ:ა6 მ:ფ6 25. კ:ა8 მ:დ5 26. კ:ა6 მ:ფ6 27. f4 ე:ე8 28. მეფ2 მეფ8 29. მეფ3 ე:ე7 30. ე:მ8+ ე:ე8 31. ე:ე8+ მ:ე8 32. მეფ4 მეფ7 33. კ:ა4 მ:ე7 34. მეფ5 f6+ 35. მეფ5 მ:ე8 36. მეფ4 მ:ე7 37. h4 მეფ6 38. მეფ5 მეფ7 39. მეფ6 მეფ8 40. მეფ5 მეფ7 41. მეფ4 მეფ6 42. გ4 მეფ7 43. h4 მეფ6. პარტია გადაიღო.

ამჟამად დაფაზე უფრო აქტიურად თეთრების ფიგურები ჩანან, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, პოზიცია საყვირია და შესაძლოა მეტოქეებმა აღარც განაახლონ თამაში. იი, ასეთ პოზიციაში გადაიღო პარტია.

მაათა პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ლაზიერის გამბიტი
1. d4 d5 2. c4 e6 3. მ:ც3 ე:ე7 4. მ:ფ3 მ:ფ6 5. ე:გ5 h6 6. კ:ფ6 კ:ფ6 7. e3 0—0 8. ე:ც1 ც6 9. კ:დ3 მ:დ7 10. 0—0 dc 11. კ:ც4 ე5 12. h3 ed 13. ed ც5 14. კ:ბ3 cd 15. მ:დ5 ბ6 16. მ:დ4 კ:დ4 17. ლ:დ4 მ:ც5 18. კ:ა4 კ:ბ7



სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

პროგნოზი გამართლდა...

თბილისში, ძველი რიყის ტერიტორიაზე, ოთხ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონატის მედლებისათვის ავტოსამოქმედლო სპორტში. „ლილოს“ მკითხველებს აღბათ ახსოვთ, ასპარეზობის დაწყებამდე ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს თენგიზ ლატარიას, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ნაკრები პირველ ხუთეულში მოხვდებოდა. მწვრთნელის პროგნოზი გამართლდა — გუნდმა სპარტაკიადის დედა სსრ კავშირის ჩემპიონატშიც მეოთხე ადგილები დაიკავა. დღეს თენგიზ ლატარია კვლავ ჩვენი სტუმარია.

როგორ აჯახებთ თქვენ, როგორც მწვრთნელი, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების გამოსვლას? — ჩემი აზრით, გუნდს ურიგოდ არ უსაპარეზო, თუმცა, რა თქმა უნდა, შეიძლება უკეთესი შედეგები გვეჩვენებინა. მაგალითად, F-1 და F-2 კლასში რბოლის ბოლო წუთებში მეტოქეებს ორი ოქროს მედალი „დაეუთმეთ“. ასეთი შემთხვევები ავტოსპორტში გამოირჩეხული არ არის. მაგალითად F-2 კლასში ავტომოდელს, რომელსაც ოპერატორი პაატა შარიპაშვილი მართავდა, ბოლო წრეზე ბორობალი მოსძვრა და რბოლა სამი თვლით დაასრულა. რა თქმა უნდა, ეს არ არის თავის გასამართლებელი საბუთი, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: ჩვენი გუნდის წევრებს ხუთივე კლასში ოქროს მედლებიც რომ აეღოთ, მაინც ვერ დაეწოდნენ მესამე ადგილზე გასულ უკრაინის გუნდს.


ბენსბი



როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტსახეობის დავაინილიაზით ჩვენში ინერგება სპორტის კიდევ ერთი ახალი სახეობა — ბენსბოლი. დავის დაპირებისამებრ, გთავაზობთ პირველ წარჩინებულ ბენსბოლის უნსახე.

იხ. გვ. 4 გვ.


სსრ კავშირის
სალხთა
IX სპარტაკიადა
პროგნოზი
გაპირტლდა...




დელის მანქანები. სწორედ ამ კლასში მოიპოვა ჩვენი ნაკრების წევრმა ვალერი წიქარიძემ სპარტაკიადის ვერცხლის მედალი. შეცვლილი იყო ასპარეზობის ჩატარების ფორმულა: წინასწარი, საკლასიფიკაციო 5-წუთიანი რბოლები ჩასატყუარებელ ქულებს იძლეოდა სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში. ამ სიანულემ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია. პირადად მე ვთვლი, რომ გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის გამოვლენის დღევანდელი წესი არ არის სწორი. უმცირესი უწესიერების ან შეცდომის შემთხვევაში სპორტსმენს აღარ რჩება ამ შეცდომის გამოსწორების დრო — ბოლოა ხომ ბოლოდ ხუთ წუთს გრძელდება ახალი დებულების თანახმად, საკლასიფიკაციო რბოლაში საუკეთესო შედეგების მქონე ოთხი სპორტსმენი პირდაპირ გადის ფინალში, ორი კი — ნახევარფინალში, ე. წ. დამამუდებელ ფინალში. ჩემი და ჩემი ზოგიერთი კოლეგის აზრი ამ შეჯიბრებებშიც დადასტურდა — ფინალში ორი-სამი აშკარად სუსტი, სპორტსმენი მოხვდა. ყველაფერი ეს კი, ალბათ დამეთანხმებით, სიმძაფრეს აქვს ფინალურ ბრძოლებს.

პარაკი რატომაც შეწყდა. არადა, „მზიურში“ ამ ტრასის მოწყობა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ავტოსამოძრაო სპორტის პოპულარიზაციასაც შეუწყობდა ხელს. არა გვაქვს კარგად მოწყობილი ლაბორატორია. ლაბორატორია კი არა, პრეცეპტიული სახარატო ჩარბიც არა გვაქვს. რამდენიმე სპორტსმენს შინა აქვს მოწყობილი ლაბორატორია და იქ მუშაობს. ასეთ პირობებში კი მაღალი შედეგების მოთხოვნა ძალიან ძნელია.

წინა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, წლეულს კი — მეოთხე. — ავტოსამოძრაო სპორტში გუნდის საბოლოო ადგილს ორი ტიპის მოდელების ასპარეზობის შედეგების ჯამი განსაზღვრავს. სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ვინ იქნება საკორდო მოდელებით შეჯიბრება მოეწყოს. იქ ჩვენი რეკორდების წარმომადგენლები ძალზე სუსტად გამოვიდნენ, მოდელების ექვსი კლასიდან ორში ერთი ქულაც ვერ აიღეს. და საბოლოოდ XII ადგილს დასაჯრდნენ. მეორე ეტაპზე, თბილისში, რადიოსამართავი ავტომოდელებით ასპარეზობაში ჩვენმა სპორტსმენებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მესამე ადგილი დაიკავეს, რამაც საბოლოოდ მეოთხე ადგილი მოგვტანა ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ძლიერი გუნდების შემდეგ.



უშუალოდ შეჯიბრების შესახებ რას გვეტყობით? ჩვენმა გუნდმა, რომელიც ძლიერი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იმის გამო, რომ სპარტაკიადის პარალელურად მიმდინარეობდა საკავშირო ჩემპიონატი, ზოგიერთი სპორტსმენი კი მხოლოდ პირად ჩათვლაში მონაწილეობდა, ერთი შეხებდა




ეს გუნდი ავტოსამოძრაო სპორტის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება ჩვენს ქვეყანაში... რა თქმა უნდა, გუნდს აქვს გადასაურები პრობლემები და ეს საკმე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ მოკლე ხანში ფავორიტების „ტიტულს“ გამოკეთებოვებით. პირველ ყოვლისა, არა გვაქვს სპეციალური ტრასა. დამეთანხმებით, რიყეზე, სადაც ჩვენ ვვარჯიშობთ, ძალზე ძნელია სპორტსმენებს ყველა პირობა შეუქმნა. დიდი ენთუზიაზმი და სპორტის ამ სახეობის უსაზღვრო სიყვარული რომ არა, ალბათ დღევანდელ წარმატებებს ვერ მივალწევდით. არცთუ შორეულ წარსულში დაგვიწყო გვექონდა ასეთი ტრასის აშენება პიონერულ ქალაქ „მზიურში“, მაგრამ შემდეგ ამაზე ლა-

306 უპატრონო მოქალაქე


ისეთი დიდი ფეხბურთის მოედანი, როგორც მესამე მახვიის წყლის პლატოს 48-ე კორპუსის გვერდით არის მოწყობილი, თითო-ორიოდა თუა თბილისში. როგორც კორპუსის მცხოვრებლებმა გვიტყვეს, ეს მოედანი მშენებლებს შევიღო-რვა წლის წინ გაუკეთებიათ და თავის დროზე საკმაოდ კეთილმოწყობილიც ყოფილა. ესაა, რომ შედობვას არავის უჭრუნია, რის გამოც გამწვანებულ-გამოწვანებულ გზის შემოკლებების მიზნით დროთა განმავლობაში მოედანზე დაგონალური ბილიც გაკადა. დღეს მოედანი ალაგ-ალაგ იმდენად ოჯროლოდა, გულდანდობილად სიარული ცოტა არ იყოს სახაფრთხილიც არის.

არდი იყოს. კუთხურის დარტყმის ადგილზე იმოდენა ორმოა, რომ მუხლებამდე დაიმაღლა. არადა მოედანი ხაცხვარებელი კორპუსებით არის გარშემორტყმული ამ კორპუსებში კი ათასობით მუშაობს ცხოვრობს. ნუთუ არ შეძლებოდა ადგილობრივ მოსახლეობას — ახალგაზრდობას საკუთარი მოედნისთვის თვითონ მიეცა, ეპატრონა სახლმმართველობის იმედად არ ყოფილიყო? რამდენადაც მაგალითი ვიცით, რომ მოსახლეობა საკუთარი სახსრებითაც კი ყოვლის მოედანს, უკლის, შეტარებებს მართავს. მესამე მახვიის კორპუსების მცხოვრებლებმა უკვე გამოადგინეს მოედანი ოთქმის გამართვამდე მთავარცხრიცხვადია, ამაში ბრალი მიუძღურს № 97 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის თანამშრომლებს (უფროსი ლევან ზალიაშვილი), რომლებმაც თვითონებმავე მიუშვეს საქმე.



უპატრონო დაპყრობა

„ლელოს“ 4 მახის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში, მხილებული იყო ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სპორტულ ბაზაზე არსებული ნაკლოვანებანი. ქარხნის ხელმძღვანელობამ რედაქციას აცნობა: „წერილი ქარხნის დირექციის, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტებისა და სპორტული აქტივის მსჯელობის საგანი გახდა. მასში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიმდინარეობს მენავთო-



ბეთა დაბის სტადიონის მთლიან რეკონსტრუქციას, რისთვისაც გაყოფილია 700 ათასი მანეთი. ამგვით გათვალისწინებულია ძირითადი და სათადარიგო მოედნების მოწყობა, აგრეთვე საცურაო უბნის რეკონსტრუქცია და გადასარგვა. ყველაფერი კეთდება საბოლოოდ, რომ სპორტული დარბაზი სრულ წესრიგში იყოს. სპორტულ ბაზაზე მდებარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს კონსტროლი დააწესა ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა.“

ბაგონებურება ფირილა „შაში“ შევალს იტონოს


თქვენი ვაჭეთის 12 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა სპორტის ისტატ აღექსანდრე ბერუაშვილის წერილი „შაში“ შევალს იტონოს“. წერილში დასმული პრობლემები მართლაც აქტუალურია. ჩვენი აზრით აუცილებელია შაშის სახელმძღვანელო გამოიცეს ქართულად. გარდა ამისა, კარგი

ბ. ჩინალაძის ქარხნის დირექტორი 3. გულდინაძის პარტიული კომიტეტის მდივანი 3. სულაშვილის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

ქართული ჭიდაობის გადღი

ლენინგრადის კულტურისა და დასვენების პარკში თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იმართება ქართული ჭიდაობა. სასპარტაკო ჩამოდიან მებრძოლები, დუშეთის, კახისა და სხვა რაიონების ფალავნები. ახლახან აქ საქართველოს ჩემპიონის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის ხარისხით კორაგვის სახელმძღვანელო პრიზი ვათამაშდა. შეჯიბრებამ კილობის ბევრი მოყვარული მოიწვია ლენინგრადში. ტურნირის მთავარი ჩილოვად იქნა ლენინგრადელი დ. ლიპინ-

ვილს, რომელმაც ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო. მასთან ერთად თავი გამოიჩინეს ლამისყანელმა ფალავნებმა — ჯ. ბეგიაშვილმა და ს. ლვინაძემ; წილკნელებმა: გ. ცოციშვილმა, ვ. ოხიშვილმა, ი. პეტრიაშვილმა და სხვებმა.



თასი ღარკლუბი მოიპოვა

სპორტსაზოგადოება „თოლომურის“ ონის რაიონში მოაწესდა თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებამ 12 გუნდი მონაწილეობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წელისის სასოფლო საბჭოს და შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დარის განყოფილების გუნდები. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ, მატჩებითი პენალტები უფრო ზუსტად დაარტყეს ღარკლუბმა ფეხბურთელებმა და თასიც მათ დაეკუთრეს.



ითაგაუთ, გიჭებო, რეგბი!

„ქაროს ოვალი“ თბილისში რეგბი

წარმოიშობა მოცულობის გამსაზღვრელი მოკაპით და მისი წვეულებით. ვთქვათ, რომელიმე მდინარეზე ჩამოვარდა სიტყვა და ერთმა დაიჩემა, ამ მდინარისა ყველაფერი ვიცოდა. ვაი მისი ბრალო, ვინმემ თუ ჰქოთხა, სათავე საღ უღევს ამ მდინარეს და ვერ უპასუხა „ყოველსმოდენს“, რა თქმა უნდა, სამართლიანად დასცინებენ. დიდი სპორტიც ხომ მდინარესა ჰგავს და მასში ჩახედულ კაცად თუ მოგაქვს თავი, სათავესაც უნდა იცოდო რამე. იმას როდის ვამბობთ, რომ „დიდსა“ და „ბატარა“ სპორტი გულშემატკივრები ერთნაირად უნდა ირეგვიოდნენ. ბავშვთა სპორტი ძირითადად სპეციალისტების საქმეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ისე ვირჩებთ, თითქოს სპორტი მხოლოდ ოსტატთა გუნდებით იწყებოდეს და მათ მიერ მოპოვებული ქულებით მთავრდებოდეს. სხვა რით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ სპორტის ბევრ სახეობაში ასე მოგვიმარაგვდა „დაკარგული თაობები“. ოსტატთა გუნდები დროულად იღებენ შევსებას, მაგრამ ჩვენს ჰაბუკებს ის ნიჭი, ყმაწვილობაში რომ გამოარჩევიდათ, ზედ ოსტატობის კარიბჭესთან „გეკარგებათ“.

ასეთი საქმიანი დასაწყისი იქნება არც შეეფერებოდეს იმ სასიხარულო მოვლენას, რომლის შესახებაც ვაპირებთ საუბარს — მოზარდმა თბილისელმა რეგბისტებმა ლამაზად და დამაჯერებლად გაიმარჯვეს თანატოლთა საკაპიტო შეჯიბრების „ქაროს ოვალის“ ფინალურ ტურნირში, მაგრამ ამ ასპარეზობამ სიხარულთან ერთად ბევრი საფიქრალიც აღგვიძრა. შეიძლება ისიც იკითხოთ, რა ისეთი მოვლენა ჩვენი მოზარდი რეგბისტების გამარ-

ჯვება, მათ ხომ სხვა დროსაც ბევრჯერ უსახელებიათ თავიო. ჩვენი აზრით კი ეს ტურნირი ძალზე საინტერესო და საგულისხმოა ყველა ჩვენგანისათვის, მათთვის, ვისაც ქართული რეგბის ბედი ალღევს და აი, რატომ: ნათქვამია, ასევე გაგონის ერთხელ ნანახი სჯობიაო. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის რეგბისტთა წარმატებებს მართლაც შეეფერებოდა და მორიგი გამარჯვება, მით უმეტეს შინ მოპოვებული, არ უნდა გავგვირეგებოდა, მაგრამ ფინალურ მატჩში, რომელიც „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა, მინც ამალღვებელი და დამაფიქრებელი სანახაობის მოწმენი გავხდით.

ჯერ ორიოდე სიტყვა იმაზე, რამაც ავგადელვა. გადამწყვეტ მატჩში თბილისელთა მეტოქეები ლენინგრადელი თანატოლები იყვნენ. თამაშის 50 წუთის განმავლობაში ბურთს ერთთავად თბილისელები ფლობდნენ, განუწყვეტლავ უტემოდნენ და ლენინგრადელები იძულებული იყვნენ გამუდმებით დაეკარგებინათ. მათ მხოლოდ თამაშის მიწურულს წამოიწყეს ერთი „ჩვეულებრივი“ შეტევა, რომელიც ჩვენმა ჰაბუკებმა იოლად მოიგერიეს. რა თქმა უნდა, თბილისელი ბავშვების ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება უნაკლო არ არის, მაგრამ, გვერდში უნდა, მათ თამაშში ბევრი რამ დიდებდაც შეუძლებოდათ. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო შეტევის მხარდაჭერის უნარი, თამაშის ის კომპონენტი, რომელიც გადამწყვეტ ფაქტორად ითვლება თანამედროვე რეგბიში და რომელშიც ასე მოიკოჭლებენ ჩვე-



ტურნირში გამარჯვებული თბილისის მოზარდ რეგბისტთა გუნდი.

ნი რესპუბლიკის „დიდი“ გუნდების მოთამაშენი. თბილისელ მოზარდებს არც ინციატივის გამოჩენა. გმინებდათ — ისინი ყოველ წუთს მზად იყვნენ მეტოქის დაცვის ხაზის გასარღვევად, თუმცა გამოცდილების უქმარობის გამო ზოგჯერ შემტევი გადაცემას აგვიანებდა და იერიში ფერხდებოდა. სამაგიეროდ, უნდა გენახათ, რა კარგად ახერხებდნენ თბილისელები ბურთის შენარჩუნებას. მეტოქისგან შემტევი ბურთს ზუსტად გადასცემდნენ პარტნიორებს ან იმგვარად გაუძლიანდებოდნენ მოწინააღმდეგეს, ისე „გადამალაუნდნენ“ ბურთს, რომ წამოსწრებულ თანაგუნდელები იოლად ეუფლებოდნენ მას. თბილისელები ფეხითაც ძალზე საზრიანად თამაშობდნენ და არც ბურთი უვარდებოდათ ხელიდან. მაღალი დარტყმები მეტოქის ზურგისაკენ და მორიგადად დაუფლებელი სწრაფვა ბურთის დაუფლებისაკენ გამოუვალ მდგომარეობაში ავდებდა ლენინგრადელებს. მოულოდნელი იყო შორი მანძილიდან დარტყმა და საჯარიმების სისუსტეც და მოიერიშე მეტოქის გარდაუვალი შემოჭვის უნარიც. ყველაზე მეტად კი მაინც თბილისელი მოზარდების უადრესად „ჩენტიმენურა“, თვშეკავებულმა საქციელმა გაგვახარა.

ამიტომაც იყო, რომ ვეტრან ქართველ რეგბისტებს ასე მოეწონათ თბილისელი ბავშვების თამაში. მათ არც აღტაცების შეძახილები დაუკლიათ ბიჭებისთვის და

თამაშის შემდეგაც დაუფარავად გამოხატეს სიხარული. არც გაიმტყუნებთ — „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეკრებილი თვალნათლევ დავრწმუნდით, რომ რეგბი ჩვენთვის, ასე ვთქვათ, „საერთაშორისო ლელობურთია“ და ამ თამაშის თანდაყოლილი ნიჭის ზეიმი, საბოლოოდ ანგარიშით 23:0 რომ გამოიხატა, ვის არ ააღელვებდა.

ცხადია, შეგირდების ასეთი წარმატება პირველ ყოვლისა მათი ოსტატების ბათუ კვლევივის, გიორგი ლებანიძისა და მალხაზ კორთინაძის დამსახურებაა. უზარესად საგულისხმოა მათი მუშაობის სტილი. ისინი მოზარდებს ძალზე სათუთად, მაგრამ ამგვდროს მკაცრად და სამართლიანად ეკარებოდათ. თბილისელი რეგბისტ-შეგირდების ურთიერთობის მხილველს არც გაუჭვირდება, რომ ჩვენი სპორტსკოლის გუნდები ასე ხშირად იმარჯვებენ ასაკობრივ ტურნირებში.

ახლა იმაზე, თუ რამ დავაფიქრავა. საქართველოში 300-მდე ბავშვი თამაშობს რეგბის — ამდენი და ამზე მეტი სხვა ქალაქებში მარტო თითოეულ კლუბში შეკადრებულია. რეგბის სპეციალისტებულო სკოლები გახსნილია მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში, კრასნოიარსკში, ალმა-ათაში. კრასნოიარსკში, მაგალითად, ყოველწლიურად ცხადდება მოზარდების კონკურსი და უამრავი მსურველისგან 500 ბავშვი არჩევენ. ჩვენ კი მხოლოდ თბილისის განათლების სამმართველოსა და „შეგარდენის“ ბავშვთა გუნდების, აგრეთვე ქუთაისის, თელავისა და ზუგდიდის მცირერიცხოვანი კონტინენტის იმდენ ვართ. თანაც დიდი ხანი არც არის, რაც ბავშვებს დავაწყობდით რეგბის თამაში და სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევთ მათ პრობლემებს. ამიტომაც გაუჭირდალად ჩვენს დიდ გუნდებს. მათ ხომ ისეთ კოლექტივებთან უხდებოდა ბრძოლა, რომლებიც კარგად ორგანიზებულ მოზარდთა რეგბიდან იღებენ შევსებას. ჩვენ კი ბევრი რამ უნდა გავაყვითოთ საიმისოდ, რომ „ლოკომოტივი“, „შენებელი“ და „შეგარდენი“ დროულად და დაუბრკოლებლად შევავსოთ ახალგაზრდა და კვალიფიციური რეგბისტებით. არადა, თბილისელი ბიჭების თამაშმა დავაგაწმუნა, რომ ქართველ ჰაბუკებს ამ თამაშის გამოჩენილი „ხელწერა“ აქვთ. მათი სათანადო სტილი მკვეთრად განსხვავდება ფიზიკურად ძლიერი „აქსელერატების“ თამაშისგან და ამ ნიჭზე, თუ საზრიანად და დროულად ვაგვირჩებთ, მომავალ დიდ წარმატებათა „აშენება“ შეგვიძლია.

თამაშ მიგრიაული.



ეპროპის ჩემპიონატი მკლეოსნობაში

26 აპრილს ვერმანის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ შტუტგარტის „ნეკარშტადიონზე“ დაიწყო ეპროპის ჩემპიონატი მკლეოსნობაში.

ეს მეტად საინტერესო, პოპულარული შეჯიბრებაა. კონტინენტის ჩემპიონატებს სათავე დაედო 52 წლის წინ, როცა 1934 წლის 7 სექტემბერს იტალიის ქალაქ ტურინის სტადიონზე სტარტი მიეცა კონტინენტის პირველ პირველობას მკლეოსნობაში. საყურადღებოა, რომ ძველბრძენული ოლიმპიადების მსგავსად ეპროპის პირველ ჩემპიონატზე დაუშვეს მხოლოდ ვაჟები, 23 ქვეყნის 232 მკლეოსანი ვაჟი ემსახურა მათ „სპორტის დედოფალს“. რატომ, რისთვის — არ ვიცით, მაგრამ

სინამდვილე ასეთია — ქალები ამ შეჯიბრებაზე არ დაუშვეს.

მას შემდეგ ეპროპის ჩემპიონატები მძლეოსნობაში მონაცვლობით იმართებოდა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ დღემდე სულ ეპროპის 13 ჩემპიონატი გაიმართა, ახლანდელი რიგით მეთოთხმეტეა.

მძლეოსნობა წლებიანდელი საყოტინენტო ჩემპიონატი სარეკორდოა: ამ სახეობის ევროპული ასოციაციის ყველა 33-ვე წევრი ქვეყნის 1.100-ზე მეტი მძლეოსანი მიიღებს მონაწილეობას, მათ რიცხვში, რა თქმა უნდა, ქალებიც... საბჭოთა კავშირის მძლეოსნებმა ეპროპის ჩემპიონატში პირველად 1946 წელს მიიღეს მონაწილეობა ნორვეგიის ცნობილი „ბიშლტის“ სტადიონზე. ომი ახალი დამთავ-

რებული იყო და მთელი სპორტული სამყარო ინტერესით ელოდა საბჭოთა ათლეტების გამოსვლას მაშინდელ საერთაშორისო სარბიელზე, დებუტი საკმარისად გამოდგა: **თბილისელმა მძლეოსანმა ქალმა ნინო ლუშმაძემ ოქროს მედალი, მოიპოვა ზადროს ტურცინაში — 44 მ 52 სმ.** პირველი ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, ნ. კარაკულოვმა 200 მეტრზე რბენაში (21,6), ე. სეჩენოვამ 100 მეტრზე (11,9) და 200 მეტრზე რბენაში (25,4), გაიმარჯვეს ტ. სევერიუკოვამ (ბირთვის კვრა, 14 მ 16 სმ), კ. მაიუჩიამ (შუბის ტურცინა — 46 მ 25 სმ). პრიზიორთა შორის მოხვდნენ ა. ჩუდინა, ს. კუზნეცოვი, ნ. ოზოლინი, ი. პუნკო. საერთოდ, საბჭოთა სპორტმე-

ნებმა სულ 11 ეპროპის ჩემპიონატში იასპარეხეს, მოიპოვეს 275 მედალი (103 — ოქროსი, 88 — ვერცხლის, 84 — ბრინჯაოსი). ამ მაჩვენებლებით საბჭოთა მძლეოსნები ეპროპის ჩემპიონატების ისტორიაში ლიდერები არიან.

შტუტგარტის ახლანდელ საკონტინენტო ჩემპიონატზე ვაჟები იასპარეზებენ მძლეოსნობის 24 სახეობაში, ხოლო ქალები — 18 სახეობაში. გუნდური პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნები. ცალკეულ სახეობებში ჩემპიონ-

ლიგა

ლიგის ფეხბურთელთა საკვების გათამაშებაში 21 აგვისტოს ლანჩოლის „მურაში“ იმდენი მინდობაზე ანგარიშმა 2:1 (1:1) დაამარცხა საბაროვსკის არმიათა გუნდი. ლანჩოლელთაგან ბურთები გაიტანეს თოფურძემ და კობაიშვილმა.

„სროპითი რეგბისტის“ ჩემპიონი

ახლანან კისლოვლსკი მოეწყო სპორტსაზოგადოება „სროპითი რეგბისტის“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა 1969-70 წლებში დაბადებულ ჰაბუკ ფეხბურთელთა შორის.

შეჯიბრების მონაწილე 12 გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი, საქართველოს ნაკრებმა თავის ჯგუფში დაამარცხა ლიტვის (6:0), ლენინგრადის (2:0), სომხეთის (2:0) გუნდები, ფრედ ითამაშა უკრაინელებთან (0:0) და მოლდაველებთან (1:1), გადამწყვეტ მატჩში კი II ქვეჯგუფში გამარჯვებულ ბელოროსიის ნაკრებს შეხვდა.

ფინალური შეხვედრა ძალზე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს საქართველოს ფეხბურთელებმა, რომლებმაც „სროპითი რეგბისტის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს (მწვრთნელები მ. ანთიქ და შ. კუმბურძიძე).

ინფორმაცია

- მკლეოსნობა სტარტები**
- ბარსელონა.** ესპანეთის ლა ჩემპიონატში ჰოსე მანუელ აბასკალმა 1500 მეტრი 3.31,13-ში გაირბინა. ეს შედეგი წლეულს საუკეთესო მსოფლიოში.
 - პარიზი.** საფრანგეთის ჩემპიონატში ა. რიშარმა 100-მეტრიან დისტანციაზე ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა — 10,09.
 - ბერლინი.** საერთაშორისო შეჯიბრებაში ბულგარელმა ს. კოსტადინოვამ სიმძლავრე ტომაში 204 სმ. დაძლია.

ეპროპის ჩემპიონატი მკლეოსნობაში

კოლორადო-სპრინგსში. დასასრულს უახლოვდება აშშ-ში პოპულარული მრავალდღიანი ველო-რობოლა „კურს კლასიკი“. მეცამეტე ეტაპი ყველაზე კარგად 18 წლის საბჭოთა ველოსიპედისტმა გორკელმა დმიტრი კონიშევმა გაიარა. საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა 142-კილომეტრიანი დისტანცია 3 საათში, 24 წუთსა და 30 წამში დაფარა.

ბროლას 13 ეტაპის ჯამში კვლავინდებურად ფრანგი ბერნარ ივოლიდერობს — 33:43.01. საბჭოთა ველოსიპედისტებს შორის საუკეთესო შედეგი — XI ადგილი რიგულ პოტრ უგრაუშოვს აქვს.

ბაისბოლი, ბაისბოლი? ბაისბოლი!




„სვალაზარი“ შეიძლება აღესნა აღმართს, თვით სიყვარულიც კი — ამბობენ ამერიკელები, — მხოლოდ ბეისბოლის ვერაგის აუხსნიან. შეიძლება ამიტომაც არის, რომ ბეისბოლი, ახალი სამყაროს ამ თავისებურმა ფენომენმა, ჯერჯერობით ყველა კონტინენტზე ვერ მოიქცა ფეხი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კუბაში, იაპონიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დიდი და პატარა ბეისბოლის თამაშობს. 1901 წლიდან დღემდე აშშ-ის პროფესიული გუნდები ორ ლიგაში იბრძვიან ჩემპიონის წოდებისთვის — ერთგულ და ამერიკულ ლიგებში. ამ ორ ლიგაში გამარჯვებული შორის ეწყობა საგანგებო მატჩები, ეგრეთ წოდებული „სოფლო სერია“, რომელიც ნებისმიერი ამერიკელის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ მოვლენად ითვლება. სხვათა შორის, ბეისბოლის ქალებიც თამაშობენ. მართალია, ჯერჯერობით მათ პროფესიონალი შორის ვერ ვხვდებით, მაგრამ ბეისბოლის მართლაც მინდობილ მათ ხშირად შეხვდებით. ეს მართლაც რომ ერთგული თამაში ამერიკაში არსებობს ერთი ასეთი ლეგენდა: 1860 წელს, როცა სენატორები აბრაამ ლინკოლნიანი მივიდნენ, რათა ეთქვათ, რომ იგი რესპუბლიკელთა პარტიამ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა, თერთი სახლის მომავალი მეთექვსმეტე ბინადარი ბეისბოლის თამაშში იყო გართული. დიდად მნიშვნელოვანი ამბავი ლინკოლნიანი მხოლოდ მატჩის დამთავრების შემდეგ შეიტყო.

და მაინც, ბეისბოლზე ლაპარაკისა და, მით უმეტეს, წერის უფლება ყველას როდი ეძლევა. პუბლიკა სულ რამდენიმე აღმართს თუ ანდობს ამ დიდად საპატიო საქმეს. ქალებს ამ ერთგულ თამაშზე ლაპარაკი საერთოდ ეკრძალებათ! ამერიკის ყველაზე პოპულარულიმა სპორტულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეტიდმა“ თავის მკითხველებს ფრიად უცნაური რამ უამბო: ბეისბოლის ერთ ცნობილ ვარსკვლავს ინტერვიუს ასაღებად ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალი ესტუმრა. „ვარსკვლავმა“ მას გადასცა ლამაზი კოლოფი, რომელშიც... მკვდარი ვირთხა იყო! ბეისბოლისტი ფედერაციამ დასაჯა პრესის შეურაცხყოფისათვის: ხუთი მატჩის დისკვალიფიკაცია მისცა, 1000 დოლარით დაჯარიმდა და მოსთხოვა ბოდიშიც მოეხადა იმ ჟურნალისტიკოსის. ბეისბოლის ვარსკვლავმა

ბოდიშის მოხდაზე კატეგორიული უარი განაცხადა და მაშინაც კი არ გატყდა, როცა ჯარიმამ 5 ათას დოლარს მიაღწია. იგი მტკიცედ იცავდა თავის აზრს: ბეისბოლზე წერა ქალის საქმე არ არისო.

მე თანახმა ვარ მივიღო მკვდარი ვირთხა, თუმცა, ოღონდ საქართველოში ერთი „ცოცხალი“ ბეისბოლისტი გამოჩნდეს!

მაინც რატომ გავისვენებ ასე მოულოდნელად ბეისბოლი? მიზეზი მართლაც ის როდია, რომ მომავალში ეს სახეობა საზოგადოებრივ ოლიმპიურ თამაშების პროგრამაში შევა. არა, საქმე ის გახლავთ, რომ უნებურად დაისვა კითხვა: იქნებ დადგა დრო, დაიბრუნებინათ, რომელიც საუკუნეზე მეტია გრძელდება? იქნებ ეს მილიონების საყვარელი თამაში მართლაც ღირს იმად, რომ მის მიმართ ცოტა მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ? იქნებ ბეისბოლზე შეუწყოს ხელი ჩვენი და ამ თამაშის ფეხმძღვლების დაახლოებას? ვინ იცის, სპორტი ხომ მშვენიერია?



თამაში ბურთითა და ტაფელით ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ყოფილა ცნობილი. მექსიკაში ატეკეების სამარხებში აღმოაჩინეს ნახატები, რომლებზეც აღბეჭდილია რაღაც ბეისბოლის მსგავსი თამაშის ეპიზოდები. ზოგიერთის აზრით, ბეისბოლი თავდაპირველად რუსეთში გაჩნდა, რადგან იგი ძალიან ჰგავს ჩვეულებრივ ჩოგან-ბურთს. ორი საუკუნის წინათ საფრანგეთში თამაშობდნენ ანალოგიურ თამაშს, რომელსაც „თევზს“ უწოდებდნენ. საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც ამტკიცებს, თითქოს ამ თამაშს ბეისბოლი დაერქვა ინგლისური „რაუნდერის“ მიხედვით. იმასაც ამბობენ, რომ ბეისბოლი — ეს არის კრიკეტი ამერიკული აქცენტით.

ასეა თუ ისე, ავტო საუკუნე-ნახევარია ბეისბოლს ვატყობთ თამაშობს მთელი ამერიკა.

ახლა მე ვეცდები კეთილსინდისიერი შრომით დავიმსახურო მკვდარი ვირთხა და რაც შეიძლება ზუსტად ვაღმოგვცეთ თამაშის წესები. მამ ასე, ბეისბოლს თამაშობს 9-9 კაცისგან შემდგარი ორი გუნდი. მინდვრის ერთ გვერდზე რომდისებურად განლაგებულია მიწაზე დამარტებული ოთხი რეზინის ბალიში — „ბაზა“. სწორედ მათგან წარმოდგა თამაშის სახელიც — „ბეის“ („ბაზა“) და „ბოლი“ (ბურთი). ნახატ-

გუნდს ერთ ქულას (ანუ „რანს“) აძლევს. გუნდი, რომელიც ცხრა ინინგის (ტიმის) განმავლობაში მეტ ქულას დააგროვებს, გამარჯვებულია.

ბუნებრივია, დაცვაში მოთამაშე გუნდის ყველა წევრი ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს მომგერიებელს ქულის აღებაში. ყველა (№№ 3, 4, 5) თავის ბაზებს იცავს და საქმე ორთაბრძოლაში მდევრს კი მიდის. მინდვრის მოთამაშეები №№ 7, 8, 9, აგრეთვე № 6 („მორტსტი“) შემჩერებელი ცდილობს, თუკი ეს შესაძლებელია, ბურთი პაერში დაიჭიროს. მაშინ „მომგერიებელი“, რომელიც ბურთს პირდაპირ ხელგებში მიაწვდის მეტოქეს, მინდვრიდან გადადის.

სათადარიგო მოთამაშეებს შეუძლიათ ნებისმიერ წუთს ჩაებან ბრძოლაში, მაგრამ გაძევებულს მინდვრზე დაბრუნების უფლება არა აქვს.

როგორც ხედავთ, ბეისბოლი მართლაც თამაში არ არის. ნატყორცნი ბურთი საათში 150 კმ სიჩქარით მიფრინავს. თანაც იგი ქვა-ნაირი მძიმეა.

ბეისბოლის ბურთის გარშემოწერილობა 23 სანტიმეტრია. მისი გული საკობისა და რეზინისგან არის დაზიდებული, დაფარულია შერის ქსოვილით და გარედან ცხენის ტყავს აქვს შემოკრული. იგი 148 გრამს იწონის. იმ მოთამაშის წინაშე, რომელიც ბურთს ტყორცნის („მეტყორცნელი“ №1) საქმად რთული ამოცანა დაგას—მან ბურთი უდღესი სიჩქარით უნდა ტყორცნოს, თანაც იმ ტრაექტორიით, რომელიც ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს მეტოქეს. ამავე დროს, იგი მოვალეა წესიც დაიცავს: ბურთმა უნდა გადაუფრინოს ძირითად ბაზას, აგრეთვე წინ ჩაუაროს მომგერიებელს (თონდ არა მუხლებზე დაბლა და მხრებზე მაღლა). მომგერიებელს სჭირდება მართლაც არწივისებური მჭერა, ელვისებური რეფლექსები და უჩვეულო მოქნილობა, რათა ჭიჭიერ ბურთს ტაფელა ისე მიატყვას, რომ იგი არც მარჯვნივ გადაიხაროს, არც მარცხნივ, მოხდენილად მოხაზოს მრული მაღლა, პაერში, ცხრა მეტოქის თავზე, და ისე დაეარდეს მიწაზე, რომ მისი დაქერა შეუძლებელი იყოს. მინდვრის მოთამაშეები მაშინვე გაცვივდებიან ბურთისაკენ და ბაზისკენ ტყორცნიან მას. საქმეს თითოეული სანტიმეტრი წყვეტს.

ბეისბოლი ხანგრძლივი თამაშია. მტყორცნელი შესაბამის პოზას იღებს, ხელს მოიქნევს და ბურთს ტყორცნის. თუ ტყორცნა გაუტყულდა, მსაჯი (ბეისბოლისტი შეხვედრებს ერთდროულად ოთხი ან ექვსი მსაჯი ემსახურება) აცხადებს, რომ დარტყმა ძალიან მაღალი იყო, ან — ძალიან დაბალი. მაშინ ყველაფერი თავიდან შეორდება. ახლა იგი უკვე სწორად ტყორცნის, მაგრამ აქ შეიძლება ტაფელით მოთამაშეს შეშალოს ხელი — ერთი ბეუო ბურთზე თამომრგვალებული ჯოხის დარტყმა არც ისე იოლი საქმეა. ის, ვინც თუნდაც ყოველი მესამე მოქნევით აღწევს მიზანს, შესანიშნავ მოთამაშედ ითვლება. შეიძლება „მომგერიებელმა“ ბურთს მიატყვას, მაგრამ თამაში მაინც შეწყვეტის. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ბურთი პაერში დაუყოვნებლივ უფრავდ მთიდან ნის ბაზამდე, ვიდრე იქ თვით მივიღოდა „მომგერიებელი“.

თუმცა, ახალი მიწოდების მოლოდინში დრო ნელა არ გადის. არც გაცულებული ცდა იწვევს მძიმე განცდებს. ბეისბოლის მატჩებზე, მოსწავლეთა შეჯიბრება იქნება ეს თუ „სოფლო სერია“, თავისებური პიქნიკის, სასოფლო ბაზრობის სული მეფობს. პაუზების დროს მკაცრად უნდა შეხატულად იქნებოდნენ ერთმანეთი ვაიკონ, იმუსაიფონ, კოკა-კოლა დალიონ და ცხელცხელი სოსისებიც მიირთვან.

ამავე დროს, ბეისბოლი დამაბული ბრძოლაა. ეს არის ნერვების გამოცდა, ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის აღმართა ჭილი. რიტუალური პაუზა ბურთის მიწოდებებს შორის ღუელს მოგვაგონებს. იმარჯვებს ის, ვინც მეტოქეს ვეკაცობით, თავშეკავებით, გამარჯვების რწმენით დაჯანბის.

...თავის დროზე ამერიკელთა კიდევ ერთ გატაცებაზე — ჯაზზე, რომელიც შემდგომი მთელი მსოფლიო დაიპყრო, ლუი არმსტრონგს უთქვამს: ის, ვინც გაუთავებლად კითხულობს ჯაზის ამბებს, ვერასოდეს მას ვერ გაიგებს. დღეს ეს სიტყვები თამაშად შეიძლება ბეისბოლზეც ითქვას — ჯოხს ერთხელ ნახო ეს თამაში, ვიდრე თუნდაც მის კაცის ნამაზობი მოისინოს მის შესახებ, მით უმეტეს, რომ საქართველოში სულ მალე გვექნება ამის შესაძლებლობა.

პაპი გოპორივიძე.



მადრიდი. წყალბურთელთა ტურნირზე დაძაბულობამ კულონიანობურ წერტილს მიაღწია ფინალური მატჩების დღეს, როცა წყლებოდა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროსა და ბრინჯაოს მედლების ბედი.

ბრძოლაში პირველად მესამე ადგილის პრეტენდენტებია — აბბოთა კავშირისა და აშშ-ის წყალბურთელები ჩაებნენ. შეხვედრისთვის განკუთვნილმა ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 5:5 (0:0, 2:2, 0:1, 3:2). ორსეების თანახმად დაინაშნა ორი დამატებითი სამწუთიანი პერიოდი, მაგრამ მეტოქეებმა ერთმანეთის კარში მხოლოდ თითო გოლი გაიტანეს — 6:6.

ისევ დამატებითი დრო და ისევ

მადრიდი, უშედეგო ბრძოლა. მატჩის ბედი ფაქტობრივად შეიძლება სამწუთიანი პერიოდში გადაწყვეტილიყო მშვენიერადს ქოძლიერების და ზუსტი დარტყმის შემდეგ — 7:6. შეხვედრის ბოლო წუთზე სერგეი ნაუშოვმა ამერიკელთა კარში მერვე ბურთი გაიტანა და საბჭოთა ნაერების გამარჯვებას წერტილი დაუსვა.

კიდევ უფრო დრამატული გამოდგა მატჩი ოქროს მედლებისათვის თუგოსლაგიისა და იტალიის წყალბურთელთა შორის. ძირითადმა დრომ აქც ვერ გამოავლინა უძლიერესი. უფრო მეტიც, დამატებითი პერიოდი ამ შეხვედრაში ოთხჯერ დაინაშნა და მხოლოდ 24-ე წუთის მიწურულ-

ში თუგოსლაგიელმა მილანოვიჩმა ბოლოს და ბოლოს დააწინაურა თავისი კოლექტივი — 12:11.

წყალბურთელთა ტურნირში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. თუგოსლაგია, 2. იტალია, 3. სსრ კავშირი, 4. აშშ.

მოცურავეთა ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა მეორე ოქროს მედალი მოიპოვეს. ამჯერად ითავი ნოვოსიბირსკელმა იგორ პოლიანსკიმ გამოიჩინა, რომელმაც მანამდე 200 მეტრზე გულაღმა ცურვა მოიგო. ახლა იგი 100 მეტრის დისტანციაზე გამოვიდა და კვლავ პირველი იყო — 55,58. ბრინჯაოს მედალი გამარჯვებულის თანაგუნდელს ტაშენტელ სერგეი ზაბოლოტნიკს ერგო — 56,57. ვე-

რცხლის ჯილოდ კი გდრ-ის წარმომადგენელმა დირკ რიბტერმა დაისაკუთრა — 56,49.

ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს მედლების კომპლექტი ახალ სახეობაში — 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გათამაშდა. ამერიკელმა მეტ ბიონდომ შეჯიბრების დაწყების წინ განაცხადა, რომ ამ სახეობაში გამოსვლას არ აპირებდა. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად მან სტარტი მიიღო და ბრძოლა მესამე შედეგით დაამთავრა. ოქროს მედალი კი ბიონდის თანაგუნდელს ტომ ჯეგერს ხვდა — 22,49.

200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ძალზე ახლოს იყო გამარჯვებასთან ლენინგრადელი ელენე დენდებეროვა. დისტანციაზე სიტუაცია რამოდენიმეჯერ შეიცვალა, დენდებეროვა ჯერ ლიდერი იყო, მერე ჩამორჩა, მერე ისევ ხელთ იგდო ლიდერობა, მაგრამ უკანასკნელ მეტრებზე წინ კრისტინ ოტო (გდრ) გაუშვა, რომელიც გახსოვდა კიდევ მსოფლიო ჩემპიონი — 2.15,56. დენდებეროვა გამარჯვებულს 0,28 წამით ჩამორჩა.

პარანა და ეთერში

ცენტრალური ბაღავიჯია

24 აგვისტო. რიტუალი ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.20 (1); სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ცხენოსნობა — 19.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიხოსნობაში — 21.15 (2).

საპარტიველოს ბაღავიჯია

25 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) — 19.00; „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 22.40; მსოფლიო ჩემპიონატი ჰალდები: „სპარტაკი“ — „კარპათის მატჩი“ რევენში — 0.10.

საპარტიველოს რადიო

25 აგვისტო. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) — 21.00; „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 22.00.

რედაქტორის მოადგილე თ. ბაჩიჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეკრებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ბაღავიჯია:
სამდივო — 93-97-52,
ინფორმაციის გაყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მარტვი“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინფორმაცია:
66435

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოზარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უკ 07612